ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 2923214001**
თარიღი:**02/08/2023**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' პუნქტის ,,დ.დ'' ქვეპუნქტის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 31 ივლისის N 28-282321261 წერილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ შპს „მზეკაბანი 2007"-სთვის მიქირავებული არასაცხოვრებელი ფართის ქირის თანხის რაოდენობა განისაზღვროს 1 მ². 7 (შვიდი) ლარის ოდენობით. შესაბამისად წლიური თანხა განისაზღვრება **6045.9** ლარით.

მუხლი 2. დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას შეიტანოს ცვლილება თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს „მზეკაბანი 2007" -ს შორის გაფორმებულ 2017 წლის 5 სექტებრის ქირავნობის ხელშეკრულებაში.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი გოგბერაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM